

მუხლი 316. ცნება

1. ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.

2. თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

I. ნორმის მიმოხილვა	1
1. 316-ე მუხლის მოქმედების სფერო	1
II. ძირითადი ცნებები	2
1. ვალდებულება.....	2
ა. ვალდებულება როგორც მოთხოვნის წინაპირობა.....	2
ბ. ვალდებულების სუბიექტები	2
2. მოთხოვნის უფლება.....	4
3. შესრულების ვალდებულება (316 I)	5
ა. შესრულების ვალდებულების ცნება	6
ბ. შესრულების ვალდებულების შინაარსი	7
4. გულისხმიერების ვალდებულება.....	10
ა. გულისხმიერების ვალდებულების შინაარსი.....	10
ბ. გულისხმიერების ვალდებულების გამოიწვევა კეთილსინდისიერი შესრულების და სხვა დამატებითი შესრულების ვალდებულებებისაგან.....	11
გ. გულისხმიერების ვალდებულებათა ტიპოლოგია.....	14
გულისხმიერების ვალდებულება შეიძლება პირობითად დაიყოს ინფორმაციის გაცემის, კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესების დაცვის და სახელშეკრულებო ლოიალურობის ვალდებულებად.....	14
დ. გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები.....	16

I. ნორმის მიმოხილვა

1. 316-ე მუხლის მოქმედების სფერო

316-ე მუხლი დეფინიციური ხასიათისაა. ეს დანაწესი შეიცავს ვალდებულებითი ურთიერთობის რამდენიმე საკვანძო ცნებას, ესენია: ვალდებულება, მოთხოვნა, მოვალე, კრედიტორი. ამავე ნორმიდან ირკვევა, რომ ვალდებულება ორი ტიპის შეიძლება იყოს – ვალდებულება, რომ შეასრულო და ვალდებულება, რომ მოექცე მეორე მხარის ინტერესებს გულისხმიერად. ეს ორივე ელემენტი შეადგენს ვალდებულების შინაარსს.

ვალდებულება უფრო ვიწრო კონცეფციაა, ვიდრე ვალდებულებითი ურთიერთობა. ვალდებულებითი ურთიერთობა ვალდებულებასთან და მის საპირწონე მოთხოვნასთან ერთად სხვა სამართლებრივ მექანიზმებსაც მოიაზრებს. სხვა სამართლებრივ მექანიზმებში იგულისხმება ის უფლებები, რომლებიც ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში წარმოიშობა. ეს უფლებები, მოთხოვნებისგან განსხვავებით, მხარეების მიერ ცალმხრივად ხორციელდება და შესაბამის სამართლებრივ შედეგიც

მეორე მხარის თანამონაწილეობის გარეშე დგება (მაგ. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, რომლის გამოყენებითაც სახელშეკრულებო ურთიერთობა ავტომატურად გადადის უკუქცევის რეჟიმში, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს მეორე მხარეს, იხ. 355, 352).¹

II. ძირითადი ცნებები

1. ვალდებულება

ა. ვალდებულება როგორც მოთხოვნის წინაპირობა

- 3 316-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა არსებობა დამოკიდებულია ვალდებულების არსებობაზე ანუ 316-ე მუხლი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა „ვალდებულების ძალით“ ერთი პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესრულება, ხოლო მეორე პირი ვალდებულია, შეასრულოს. ეს ფორმულა უნივერსალურია და თანაბარმნიშვნელოვნად ვრცელდება ნებისმიერ ვალდებულებით ურთიერთობაზე, რომელიც 317 I მუხლით დადგენილი წყაროებიდან წარმოიშობა. ამასთანავე, ამ დეფინიციის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნით² და, კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა, ეხება ნებისმიერი ტიპის ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშვა ეს უკანასკნელი (დელიქტი, უსაფუძვლო გამდიდრება, ლეგატი და ა.შ.).³

ბ. ვალდებულების სუბიექტები

ბ.ა. კრედიტორი და მოვალე

- 4 ვალდებულებითი ურთიერთობიდან უნდა ირკვეოდეს, თუ ვის აკისრია ვალდებულება და ვინ ფლობს შესაბამის მოთხოვნის უფლებას, ანუ ვინ არის მოვალე და ვინ კრედიტორი. ეს წინაპირობა ვალდებულების რელატიურ ბუნებას უკავშირდება.⁴ თუ მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრული არ არის, საკმარისია მისი განსაზღვრის შესაძლებლობა (მაგ. 349). ერთი და იგივე პირი ვერ იქნება მოთხოვნის მპყრობელი და ადრესატიც. კონფუზიის შემთხვევაში ვალდებულება წყდება *per se* (452).⁵ იგივე წესი მოქმედებს პერსონალური მოვალის გარდაცვალებისა (453)⁶ და იურიდიული

¹ მაგ. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზება ანუ მასში მოაზრებული სამართლებრივი შედეგის მიღწევა, განსხვავებით მოთხოვნისა, არ საჭიროებს მეორე მხარის თანაქმედებას. დასახული სამართლებრივი შედეგი მიიღწევა ცალმხრივი აქტით - მოვალის მიმართ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ გაკეთებული შეტყობინებით.

² *თოდუა/ვილემსი*, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 14.

³ დისკუსია ამ ნორმის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით იხ. *ამირანაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის I ნაწილი – კანონისმიერი განმარტება თუ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, მართლმსაჯულება დაკანონი, N1(36)13, გვ. 115 და მომდევნო გვერდები.

⁴ შეად. *MüKo/Bachmann*, BGB, 7. Aufl., 2016, §241, Rn. 1.

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 8 ივნისის №33/312-01 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის №ას-1166-1186-2011 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 მაისის №ას-90-85-10 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

პირის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევებში (454).⁷ ვალდებულებით ურთიერთობაში ერთდროულად შეიძლება ფიგურირებდეს რამდენიმე მოვალე და/ან რამდენიმე კრედიტორი (მხარეთა სიმრავლე ვალდებულებაში).

ბ.ბ. მესამე პირი ვალდებულებაში

კანონი ითვალისწინებს მესამე პირთა ჩართვის შესაძლებლობას ვალდებულებაში (349) 5 ანუ მხარეებს უფლება აქვთ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომელთა მოსარგებლე (ბენეფიციარი) მესამე პირი იქნება. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, შესაძლოა, არ ანიჭებდეს ან ანიჭებდეს ამ პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას. უკანასკნელ შემთხვევაში, მესამე პირი ვალდებულებით ურთიერთობაში შედის სოლიდარული ან ექსკლუზიური კრედიტორის სტატუსით (იხ. კომ. 349), თუმცა იგი არ იკავებს მოვალის ადგილს.

ბ.გ. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებების 6 დადებისას ეს უკანასკნელი არ ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ I მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო გამოდის როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ქმედებები რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით (სზაკ 65¹ II მუხლი). ეს დასტურდება სამოქალაქო კოდექსის 8 II, 24 III, IV მუხლებითაც. გამონაკლისი ამ წესიდან შეიძლება დაიშვას მხოლოდ მაშინ, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით (8 II). ასეთ შემთხვევებში, კანონით ან კანონქვემდებარე აქტებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებული წესები. ასეთი შერეული საჯარო და კერძო სამართლებრივი რეგულირების მაგალითები გვხვდება მაგ. სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მარეგულირებელ კანონმდებლობაში.

ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენცია არ არის შეუზღუდავი. ეს საკითხი 7 განსაკუთრებულ პრაქტიკულ დატვირთვას ატარებს საჯარო სამართლის იურიდიული პირებთან (სსიპ) დაკავშირებით, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სამოქალაქო ბრუნვაში. სსიპ-ებს გააჩნიათ არა საერთო, არამედ **სპეციალური უფლებაუნარიანობა** (ისევე როგორც სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს, იხ. სზაკ 66 I).⁸ სსიპ-ი უფლებამოსილია, განახორციელოს მხოლოდ კანონით, პრეზიდენტის ბრძანებულებით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული საქმიანობა (სამოქალაქო კოდექსი 25 I და სსიპ-ის კანონი 3 I, II). შესაბამისად, ბათილია სსიპ-ი მიერ მისი სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლებს გარეთ – *ultra vires* – დადებული გარიგება (სსიპ-ის კანონი 3 IV 1). ამასთანავე, უფლებაუნარიანობის ხარვეზის გამო ბათილი

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 აპრილის №ას-55-54-2010 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 თებერვლის №ბს-1189-764(კ-05) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 11 ივლისის №ბს-197-186 (კ-07) გადაწყვეტილება.

გარიგების მეორე მხარეს არ შეუძლია მიუთითოს, რომ მისთვის უცნობი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის ნაკლი (სსიპ-ის კანონი 3 IV 2). მსგავს შემთხვევაშიც, ბათილი გარიგება დარჩება ბათლად, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეორე მხარეს, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, არ შეუძლია სსიპ-ისგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება კანონით დადგენილი წესით (მათ შორის 317 III-ით დადგენილი წესით).

2. მოთხოვნის უფლება

- 8 კრედიტორს უნდა გააჩნდეს **ნამდვილი, ამოუწურავი და უპრეტენზიო მოთხოვნა** მოვალის მიმართ, რათა მოახდინოს მოთხოვნის უფლების რეალიზება.⁹
- 9 **მოთხოვნის უფლება ნამდვილია, თუ არსებობს ის სამართლებრივი გარემოება, რომელსაც ეს მოთხოვნა ეფუძნება.** დელიქტური ვალდებულების შემთხვევაში ეს გარემოებაა სხვისი ჯანმრთელობის, საკუთრების ან კანონით დაცული სხვა სიკეთის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ფაქტი, ხოლო სახელშეკრულებო მოთხოვნის შემთხვევაში – ხელშეკრულება. შესაბამისად, თუ ხელშეკრულება ბათილია ან იგი მოგვიანებით გაბათილდება, კრედიტორს არ წარმოეშობა შესრულების მოთხოვნის უფლება ამ ხელშეკრულებიდან.
- 10 მოთხოვნის დაყენების მომენტისათვის **მოთხოვნის უფლება უნდა იყოს ამოუწურავი და გაუქარწყლებელი**, რადგან შესაძლოა მოთხოვნის უფლება წარმოიშვას, თუმცა მოგვიანებით ამოიწუროს ან გაქარწყლდეს. მოვალე არ არის ვალდებული განახორციელოს შესრულება იმ მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ამოწურულია (მაგ. შესრულების ვალდებულება იწურება, როგორც კი კრედიტორი შეასრულებს ვალდებულებას (421)) ან გაქარწყლებულია (მაგ. შესრულების ვალდებულება ქარწყლდება, როცა სახეზეა შეუძლებლობა). შესაბამისად იწურება/ქარწყლდება მეორე მხარის მოთხოვნის უფლებაც.
- 11 მოთხოვნა შეიძლება იყოს **ნამდვილი და ამოუწურავი/გაუქარწყლებელი**, თუმცა კრედიტორს არ შეეძლოს მისი რეალიზება, თუ მოვალე კრედიტორის მოთხოვნას უპირისპირებს დასაბუთებულ შესაგებელს. შესაბამისად, **მოთხოვნა უნდა იყოს უპრეტენზიო ანუ განხორციელებადი, რათა მოხდეს მისი სრულყოფილი რეალიზება.** მაგ. 369-ე მუხლის თანახმად, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო შესრულების განხორციელებამდე, თუ იგი ვალდებული არ იყო, თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა. შესაბამისად, თუ მოვალე თავად არ ასრულებს ვადამოსულ ვალდებულებას, მას არ შეუძლია მოვალეს მოსთხოვოს საპირისპირო ვალდებულების შესრულება, მიუხედავად იმისა, რომ მის ხელთ არსებული მოთხოვნის უფლება ნამდვილი და ამოუწურავია.
- 12 ქრონოლოგიურად მოთხოვნის უფლების შემოწმება შემდეგი სქემით უნდა მოხდეს: 1) **უფლების წარმოშობის შემაფერხებელი გარემოებები** (მაგ.: ქმედუნარიანობა (25 I, II, III,

⁹ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 34 და მომდევნო.

IV, 58 I, 63 და მომდევნო მუხლები); ნების გამოვლენის ნაკლი (53, 58 II, III, 81, 85¹⁰); კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობა (59 I); წინააღმდეგობა კანონთან, საჯარო წესრიგთან¹¹ და მორალთან (54); ბათილობა ხელშეკრულების კაბალურ პირობათა გამო¹² და მევახშეობა (55)¹³; გარიგების ბათილობის სხვა საფუძვლები (56, 57)); 2) **მოთხოვნის ან უფლების ამომწურავი/გამაქარწყლებელი გარემოებები** (მაგ: ხელშეკრულების მოშლა (399 III); ხელშეკრულებიდან გასვლა (მუხ. 352 და მომდევნო მუხლები); ვალდებულების შესრულება (427 და მომდევნო მუხლები); შესრულება დეპონირებით (434 და მომდევნო მუხლები); მოთხოვნათა გაქვითვა (442 და მომდევნო მუხლები); ვალის პატიება (მუხ. 448 და მომდევნო მუხლები); კონფუზია (452)); შეუძლებლობა (განსაკუთრებით კანონისმიერი შეუძლებლობა)) 3) **მოთხოვნის ან უფლების რეალიზების შემაფერხებელი გარემოებები, რომლებზეც უთითებს მოვალე** (მაგ: ხანდაზმულობა (128 და მომდევნო მუხლები); საპირისპირო ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორის მიერ (369); შესრულების გართულება (8 III); შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დასაბუთებული მოთხოვნის უარყოფა (398)).

ამ ქრონოლოგიის დაცვა მნიშვნელოვანია, რამდენადაც, თუ სახეზე იქნება პირველი რიგის დამაბრკოლებელი გარემოება, შემდეგი რიგის დამაბრკოლებელ გარემოებათა გადამოწმება ზედმეტია. მაგ. არასწორი იქნებოდა იმის შემოწმება, ხომ არ გაქარწყლდა მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად, მაშინ როცა სახეზეა ბათილი ხელშეკრულება ქმედუუნარობის გამო. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში მოთხოვნა საერთოდ არ წარმოშობილა, რის გამოც იგი ვერც ამოიწურებოდა და ვერ გაქარწყლდებოდა. 13

პირველი ორი რიგის დამაბრკოლებელი გარემოებები ავტომატურად ზემოქმედებს მოთხოვნაზე და სასამართლო მათ *ex officio* უნდა ითვალისწინებდეს.¹⁴ რაც შეეხება მესამე კატეგორიას, მათი მოქმედება დამოკიდებულია შემხვედრი პრეტენზიის (შესაგებელის) დაყენებაზე. 14

ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნები, როგორც წესი, ექვემდებარება ხანდაზმულობას (გამონაკლისი მაგ. 968). ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალე უფლებამოსილია უარი თქვას შესრულებაზე (144 I), რა შემთხვევაშიც კრედიტორი კარგავს მოთხოვნის უფლებას (*nudum ius*). ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს (128 III). სახელშეკრულებო და დელიქტიდან მომდინარე მოთხოვნებზე ვრცელდება სპეციალური ვადები (129, 1008). ცალკეულ შემთხვევებში კანონი ადგენს ასევე საგამონაკლისო სპეციალურ ვადებსაც (მაგ. 514, 573, 655). 15

3. შესრულების ვალდებულება (316 I)

¹⁰ სამოქ. საქმეთა კრებული 2001/1, სუსგ №33/732, 572; სამოქ. საქმეთა კრებული 2002/1, სუსგ №33/529-01, 148 შ.შ.; კრებული 2002/1, სუსგ №33/1186-01, 853 დ.შ.

¹¹ სამოქ. საქმეთა კრებული 2002/1, სუსგ №33/515-02, 1256 შ.

¹² სამოქ. საქმეთა კრებული 2001/1, სუსგ №33/289, 294.

¹³ სამოქ. საქმეთა კრებული 2001/1, სუსგ №33/114-01, 112; სამოქ. საქმეთა კრებული 2002/1, სუსგ №33/278-02, 886.

¹⁴ მაგალითისათვის იხ. სამოქ. საქმეთა კრებული 2002/1 სუსგ №33/965-01, 522; სამოქ. საქმეთა კრებული 2002/1, სუსგ №33/1012-01, 556

ა. შესრულების ვალდებულების ცნება

- 16 ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ დროს და ადგილას (361 II). ვალდებულება სრულდება ჯეროვნად, თუ მოვალე დაპირებულ ქმედებას ასრულებს და შეთანხმებულ შედეგს იწვევს, ხოლო კეთილსინდისიერად, როცა მოვალის ქცევა კრედიტორის გონივრულ მოლოდინსა და ბრუნვის წეს-ჩვეულებებს შეესაბამება.¹⁵
- 17 **შესრულების ვალდებულება 316 I-ის მნიშვნელობით უფრო ფართო ცნებაა (Leistung), ვიდრე ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება (Vertragserfüllung).** ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ 316-ე მუხლში საუბარია ზოგადად ვალდებულებაზე და არა ხელშეკრულებაზე. შესაბამისად, 316 I-ე მუხლის მნიშვნელობით შესრულების ვალდებულება არ გულისხმობს მხოლოდ ხელშეკრულების შესრულებას (მაგ. მყიდველისათვის საქონლის გადაცემას), არამედ ასევე მოიაზრებს მეორადი შესრულების ვალდებულებებს (მაგ. ზიანის ანაზღაურება ნივთობრივი ნაკლის მქონე საქონლის გადაცემის შემთხვევაში), ან იმ შესრულების ვალდებულებებს, რომელიც მიმართულია მაგ. დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ან გულისხმობს უსაფუძვლოდ მიღებული სარგებლის უკან დაბრუნებას. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში სახეზეა შესრულების ვალდებულება, რომელიც კრედიტორს უფლებას აძლევს, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება (მაგ. „ა“-მ დააზიანა „ბ“-ს ავტომანქანა. „ა“ ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი ნატურით ან ფულადი კომპენსაციით. ესეც შესრულებაა 316 I-ის მნიშვნელობით).
- 18 შესრულების ვალდებულების აუცილებელი თვისებაა მისი განსაზღვრულობა, რამეთუ ვალდებულება არ შეიძლება არსებობდეს აბსტრაქტულად. ამრიგად, შესრულება უნდა იყოს განსაზღვრული ან განსაზღვრებადი, რათა შესაძლებელი გახდეს მისი აღქმა ვალდებულებითი ურთიერთობის საგნად.¹⁶ სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესრულების საგანი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო კანონისმიერში – კანონის საფუძველზე.
- 19 შესრულების მოთხოვნა ექვემდებარება სასამართლო წესით დაცვას.¹⁷ კრედიტორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნის არსებობის აღიარების მოთხოვნით (აღიარებითი სარჩელი) ან მოითხოვოს შესრულების მოთხოვნის რეალიზება იძულებითი აღსრულების წესით (მიკუთვნებითი სარჩელი).

¹⁵ ბრუნვის წეს-ჩვეულებაში იგულისხმება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ქცევის სტანდარტი. შესაბამისად ბრუნვის-წეს ჩვეულებად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პროფესიული ან ბიზნეს სტანდარტები. მაგ. უზენაესმა სასამართლომ სკ. 731-ში მოცემული კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერების დათქმის დასაზუსტებლად გამოიყენება საერთაშორისო ავიაგადაზიდვების სტანდარტული წესები (IATA: <http://www.iata.org/Pages/default.aspx>) და განმარტა: „სკ. 731-ის მოთხოვნების და საერთაშორისო ავიაგადაზიდვების წესების გათვალისწინებით პალატა თვლის, რომ ექსპედიტორმა კონსულტაციები უნდა გაუწიოს გამოუცდელ შემკვეთს იმ პირობების შესახებ, რომლითაც იგი თავის საქმიანობას ახორციელებს...სასამართლოს მიაჩნია, რომ ექსპედიტორის მოქმედება, რომლის დახმარებითაც მოხდა ზედდებულის შევსება არ შეესაბამება გონივრულ მოთხოვნებს, ეს მოქმედება ვერ ჩაითვლება გულისხმიერებად და გამგზავნის ინტერესების დაცვად (სამოქ. საქმეთა კრებული 2001/1, სუსგ №33/855, 918).

¹⁶ *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 28.

¹⁷ *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 39.

ბ. შესრულების ვალდებულების შინაარსი

ბ.ა. შესრულების ძირითადი და დამატებითი, პირველადი და მეორადი ვალდებულებები

ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს. ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ მხარეები სულ მცირე **შესრულების ძირითად ვალდებულებაზე** შეთანხმდნენ (327 I, კანონისმიერი *essentialia negotii*).¹⁸ ძირითადი ვალდებულება ნებისმიერ სახელშეკრულებო ურთიერთობას ახასიათებს და ხელშეკრულების ტიპის განმსაზღვრელია. გარდა კანონისმიერი არსებითი პირობებისა მხარეებმა შესაძლოა დაადგინონ სხვა არსებითი პირობები, რომლებზე შეთანხმებაც ხელშეკრულების ნამდვილობისთვის ასევე აუცილებელია (327 II).

ხელშეკრულებით მხარეებმა შეიძლება იკისრონ **შესრულების დამატებითი ვალდებულებები**.¹⁹ შესრულების დამატებითი ვალდებულება, როგორც წესი, ხელშეკრულების სრულყოფილი შესრულებისკენ არის მიმართული და მას ავსებს.²⁰ ამიტომ იგი ძირითად ვალდებულებაზეა აქცესორულად მიბმული²¹ და მასთან მიზნობრივად დაკავშირებული (*accidentalialia negotii*).²² შესრულების დამატებით ვალდებულებად ითვლება მაგ. გაყიდული ნივთის შეფუთვა, აწონვა, დაფასოება, გამოყენების ინსტრუქციის მიწოდება, სესხზე პროცენტის გადახდა²³ და ა.შ. ვალდებულება, რომელიც ერთ ხელშეკრულებაში შესრულების დამატებით ვალდებულებად არის გათვალისწინებული, სხვა ხელშეკრულებაში შეიძლება ძირითად ვალდებულებად იქნეს ჩართული (მაგ. კარადის აწყობა ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესაძლოა იყოს დამატებითი ვალდებულება, ხოლო ნარდობის ხელშეკრულებაში ძირითად ვალდებულებად ფიგურირებდეს). დამატებითი ვალდებულება, როგორც წესი, შეთანხმების საგანია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მისი არსებობა პირდაპირ გათვალისწინებულია კანონით (მაგ. იხ. 477 I²⁴). შესრულების დამატებითი ვალდებულება, შესაძლოა, ასევე გამომდინარეობდეს კეთილსინდისიერების (8 III, 361 II) პრინციპიდან.²⁵

¹⁸ მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულების ძალით გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს საკუთრება ნივთზე და მიაწოდოს ნივთი (იხ. სკ 477).

¹⁹ ცალკეული ავტორები ამავე მნიშვნელობით ასევე იყენებენ დამოკიდებული შესრულების ცნებას, იხ. *ცერცვაძე*, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 34 და მომდევნო.

²⁰ *Canaris*, Ansprüche wegen „positiver Vertragsverletzung“ und „Schutzwirkung für Dritte“ bei nichtigen Verträgen, JZ 1965, S. 475, 477.

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის №ას-1705-1689-2011 გადაწყვეტილება; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 34.

²² *Jauernig/Mansel*, § 241, Rn. 9.

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის № ას-1705-1689-2011 გადაწყვეტილება.

²⁴ მაგ. კანონის ეს ნორმა პირდაპირ ავალდებულებს გამყიდველს, მიაწოდოს მყიდველს საქონელთან დაკავშირებული საბუთებიც.

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

21 შესრულების დამატებითი ვალდებულებისაგან უნდა გაიმიჯნოს ე.წ. **აქცესორული ვალდებულებები**. იმ შემთხვევაში, როცა აქცესორულ ვალდებულებას კისრულობს არა მოვალე, არამედ მესამე პირი (მაგ. საბანკო გარანტია, თავდებობა), ამ ვალდებულებათა დარღვევისათვის მოვალეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება. მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა აქცესორული ვალდებულებები განმარტებულია როგორც დამატებითი ვალდებულება.²⁶ მსგავსი განმარტება ტერმინოლოგიური თვალსაზრისით მისაღებია მხოლოდ იქ, სადაც აქცესორული ვალდებულების უზრუნველყოფა მოვალის დამატებით ვალდებულებას წარმოადგენს. მაგ. მოვალე კისრულობს ვალდებულებას ძირითადი შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგინოს საბანკო გარანტია.

22 სახელშეკრულებო ურთიერთობათა კონტექსტში ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ შესრულების პირველადი და მეორადი ვალდებულებები. **შესრულების პირველადი ვალდებულება** (*primäre Leistungspflichten*) ის ვალდებულებაა, რომლის წარმოშობაზედაც მიმართულია ხელშეკრულება. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში წარმოიშობა **შესრულების მეორადი (ნაწარმოები²⁷) ვალდებულებები** (*sekundäre Leistungspflichten*), რომლებიც შესაძლოა შესრულების პირველადი ვალდებულების გვერდით ამოქმედდეს (მაგ. იხ. 404) ან ჩაანაცვლოს იგი (მაგ. 394 II 2). მეორადი ვალდებულების მაგალითია სკ-ის 394 I 1 მუხლი. ამ ნორმის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ამით კანონი მოვალეს აკისრებს შესრულების მეორად ვალდებულებას, რომელიც გამოიხატება იმ მდგომარეობის აღდგენაში, რომელიც იარსებებდა, პირველადი ვალდებულება რომ შესრულებულიყო. ცალკეულ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ნატურით რესტიტუცია და/ან კომპენსაცია (408, 409).

ბ.ბ. პასიური ვალდებულებები

23 316-ე მუხლის მნიშვნელობით, შესრულების ვალდებულება (*Leistungspflicht*) შეიძლება მოიაზრებდეს როგორც მოქმედებას, ასევე უმოქმედობას. თუ შესრულების ვალდებულება გულისხმობს უმოქმედობას, მაშინ ასეთ ვალდებულებას **პასიური ვალდებულება** ეწოდება (მაგ. 182). პასიური ვალდებულების ერთ-ერთი გამოვლინებაა თმენის ვალდებულება (მაგ. 540). პასიური ვალდებულება შესაძლოა გამომდინარეობდეს კანონიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან. მაგ. მეზობლები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ არცერთი მათგანი არ ააშენებს გარკვეულ სიმაღლეზე უფრო მაღალ ნაგებობას, რათა ერთმანეთს ხედი არ დაუჩრდილონ.²⁸ პასიური ვალდებულება ასევე შესაძლოა გამომდინარეობდეს კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპიდან, რაც ნიშნავს, რომ მოვალემ არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის შესრულებას ან მისი შედეგებით სარგებლობას.

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 3 თებრვლის №ას-114-ა-15-03 გადაწყვეტილება.

²⁷ *კანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 31.

²⁸ BGH NJW 1975, 344.

ბ.გ. ქმედებაზე და შედეგზე ორიენტირებული ვალდებულებები

როგორც წესი, ვალდებულება შესრულებულად ითვლება, თუ მოვალე აღწევს იმ შედეგს, რომელიც ვალდებულებით არის გათვალისწინებული (*obligation de resultat*). თუმცა, თავისი არსიდან ან შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულება შეიძლება შედეგზე არ იყოს ორიენტირებული. თუ მხარეები ერთმანეთის სასარგებლოდ მხოლოდ გარკვეულ ქმედებათა განხორციელებას კისრულობენ, შესრულების ვალდებულება ამ ქმედებათა სათანადო შესრულებით ამოიწურება (ქმედებაზე ორიენტირებული ვალდებულება – *obligation de moyens*).²⁹ ამ დიფერენციაციას პრაქტიკული მნიშვნელობა ვალდებულების დარღვევის ფაქტის დადგენისას აქვს, რაც იმ ქმედების თუ შედეგის ობიექტური შეფასებით ხდება, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ან უნდა დამდგარიყო.³⁰ თუ შეთანხმებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარე კრედიტორი ვალდებულებით იყო მიეღწია გარკვეული შედეგისათვის, ობიექტური ნიშნით ვალდებულება დარღვეულად ჩაითვლება, თუ მიუხედავად კრედიტორის მცდელობისა, ეს შედეგი არ იქნება მიღწეული (სხვა საკითხია, თუ რამდენად ეკისრება მოვალეს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის). თუ რა ტიპის შესრულებაა შეთანხმებული, უნდა დადგინდეს ხელშეკრულების განმარტებით. სხვაობა **ქმედებაზე და შედეგზე ორიენტირებულ ვალდებულებებს შორის** კარგად ჩანს მგზავრთა გადაყვანის და მომსახურების ხელშეკრულებებში (თუმცა ამ უკანასკნელზეც არსებითად ნარდობის წესები ვრცელდება). მაგ. ექიმის მოვალეობა, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, კონკრეტული მომსახურებით – პაციენტის მკურნალობით – და მკურნალობისას გამოვლენილი შესაბამისი სტანდარტით შემოიფარგლება და ობიექტური გადმოსახედიდან ვალდებულების დარღვევა სახეზე არ იქნება, თუ პაციენტი ვერ გამოჯანმრთელდება. მთავარია, რომ ექიმი თავის მხრივ ყველაფერს აკეთებს, რის გაკეთებაც მისგან სამედიცინო სტანდარტი მოითხოვს. ექიმისგან განსხვავებით, ტაქსის მძღოლის ვალდებულება შედეგზეა ორიენტირებული – იგი ვალდებულია, მიიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილას და, თუ იგი ამ შედეგს ვერ მიაღწევს, სახეზე იქნება ვალდებულების დარღვევა.

პასიური ვალდებულება შედეგზე ორიენტირებული ვალდებულებაა (Unterlassungspflichten), რამდენადაც იგი მიმართულია იმ შედეგის თავიდან აცილებაზე, რომელიც მეორე მხარის მოქმედების შედეგად შეიძლება დადგეს.³¹

²⁹ ასევე იხ. *ჰანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 27 და მომდევნო.

³⁰ *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 39 და შემდგომნი.

³¹ *Fritzsche*, Unterlassungsanspruch und Unterlassungsklage, 2000, S. 50 ff.

4. გულისხმიერების ვალდებულება

ა. გულისხმიერების ვალდებულების შინაარსი

ა.ა. ძირითადი ელემენტები

- 26 316 II მუხლი არ შეიცავს გულისხმიერების ვალდებულებათა ჩამონათვალს და არ აზუსტებს მის შინაარსს. კანონმდებელი მხოლოდ ამ ვალდებულების აუცილებელ ნიშან-თვისებებზე მითითებით შემოიფარგლება: 1) გულისხმიერების ვალდებულება გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან, მიუხედავად იმისა შეთანხმდნენ თუ არ მასზე მხარეები (*naturalia negotii*); 2) გულისხმიერების ვალდებულება მიმართულია მოვალის ქონებრივი და არაქონებრივი *status quo*-ს შენარჩუნებაზე (განსხვავებით შესრულების ვალდებულებისგან, რომელიც *status quo*-ს გაუმჯობესებას ისახავს მიზნად) 3) გულისხმიერების ვალდებულება ეკისრება როგორც მოვალეს ასევე კრედიტორს.
- 27 316 II-ე მუხლით კანონმდებელი განმარტავს, რომ ზოგ შემთხვევაში მხარეს შესაძლოა იმაზე მეტი ვალდებულება ეკისრებოდეს, ვიდრე ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი.³² ამგვარად, როგორც ბუნებრივი ვალდებულება,³³ გულისხმიერების ვალდებულება ახასიათებს ყველა ვალდებულებით ურთიერთობას, რომელშიც, ამ ურთიერთობის თავისებურებების გათვალისწინებით, მხარეებს ერთმანეთის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა აქვთ.³⁴ სწორედ ამ სიკეთეების დაცვას ისახავს მიზნად სკ. 316 II. ის გარემოება, რომ კანონმდებელი არა ჩვეულებრივ, არამედ „განსაკუთრებულ“ გულისხმიერებაზე მიუთითებს, მეტყველებს იმაზე, რომ 316 II-ე მუხლით დადგენილი ქცევის სტანდარტი იმაზე მაღალია, ვიდრე 992-ე მუხლის სტანდარტი.³⁵ სტანდარტის სიმკაცრე თავის მხრივ დამოკიდებულია ვალდებულების ხასიათზე. იგი მით უფრო მკაცრია, 1) რაც უფრო ასიმეტრიულია მხარეთა ინფორმაციული მარაგი; 2) მაღალია ობიექტური ნდობის ხარისხი კონტრაქტთან მიმართებაში;³⁶ და 3) მაღალია დაინტერესებული მხარის ეკონომიკური და სამართლებრივი რისკები.³⁷ ინფორმაციული ასიმეტრია სახეზეა, როცა კრედიტორი შედარებით გამოუცდელია გარკვეულ სფეროში, მაშინ როცა მისი კონტრაქტის ამ სფეროში სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას ფლობს. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ამ სახის ურთიერთობებში მოვალეს, როგორც უფრო „ძლიერ კონტრაქტს“, გაცილებით მეტი გულისხმიერება და წინდახედულება მოეთხოვება.³⁸ რაც შეეხება ობიექტურ ნდობას, იგი განსაკუთრებით ინტენსიურია

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის №ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

³³ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 68.

³⁴ BGH NJW-RR 95, 1244.

³⁵ MüKo/Bachmann, BGB, 7. Aufl., 2016, § 241, Rn. 48.

³⁶ მაგ. იხ. კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, გვ. 92.

³⁷ MüKo/Bachmann, BGB, 7. Aufl., 2016, §241, Rn. 51.

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 28 იანვრის №ას-1643-1540-2012 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

გრძელვადიან ურთიერთობებში,³⁹ საბანკო,⁴⁰ სადაზღვევო⁴¹ და გადაზიდვა-გადაყვანის ურთიერთობებში, სადაც კრედიტორის არჩევანი განპირობებულია მისი კონტრაქტის სპეციალური ცოდნით.

გულისხმიერი ქცევის ვალდებულება ეკისრება არამხოლოდ მოვალეს, არამედ კრედიტორს,⁴² მათ შორის უსასყიდლო სახელშეკრულებო ურთიერთობის კრედიტორსაც. მაგ. თხოვების ხელშეკრულების კრედიტორი განათხოვრებული ნივთის გადმოტვირთვისას ვალდებულია გულისხმიერებით მოეპყრას მოვალის ავტომატურად, რომლის მეშვეობითაც მას დაუბრუნეს ეს ნივთი, და არ დააზიანოს იგი. 28

ა.ბ. გულისხმიერების ვალდებულებათა მოქმედება დროში

დროში მოქმედების თვალსაზრისით გულისხმიერების ვალდებულება შესრულების ვალდებულებაზე ინტენსიურია. როგორც 317 II-ე მუხლის მითითება ცხადყოფს, გულისხმიერების ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულების დადებამდე (იხ. 317-ე მუხლის კომენტარი). გულისხმიერების ვალდებულებამ შესაძლოა ასევე არსებობა გააგრძელოს ხელშეკრულების შესრულების ან სახელშეკრულებო ურთიერთობათა დასრულების შემდეგაც (*culpa post contractum finitum*).⁴³ მაგ. მიუხედავად იმი შეთანხმდნენ თუ არა ამაზე მხარეები, ცალკეული სახელშეკრულებო ურთიერთობების ბუნებიდან გამომდინარე, მხარეები ვალდებულები არიან არ დაუსვან იმ ინფორმაციის გავრცელებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში. ეს ვალდებულება მოქმედებს ხელშეკრულების შემდეგაც, თუ ამ ინფორმაციის გახმაურებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს კონტრაქტს. იგივე შეიძლება ითქვას კონკურენციის შეზღუდვის ვალდებულებაზეც. მაგ. პირი, რომელიც გაასხვისებს საწარმოს და მყიდველს უშუალო აქტივებთან ერთად გადასცემს „კლიენტთა პორტფელსაც“, სკ. 316 II-ის საფუძველზე ივარაუდება, რომ გონივრული დროის განმავლობაში მან თავი შეიკავოს იმავე გეოგრაფიულ ბაზარზე კონკურენციული ქმედებებისგან, მით უმეტეს კლიენტთა გადაბირებისგან. 29

ბ. გულისხმიერების ვალდებულების გამიჯვნა კეთილსინდისიერი შესრულების და სხვა დამატებითი შესრულების ვალდებულებებისაგან

გულისხმიერების ვალდებულება მიმართულია კრედიტორის ინტეგრალური ინტერესების დაცვაზე. გამონაკლისი შემთხვევების გარდა,⁴⁴ ეს ვალდებულება არ სრულდება (იხ. ქვემოთ), იგი შეიძლება მხოლოდ დაირღვეს. კლიენტი ვერ უჩივლებს დალაქს, რათა ამ უკანასკნელმა მისი ჯანმრთელობა არ დააზიანოს, სანამ ეს უკანასკნელი მის ჯანმრთელობა რეალურად არ დააზიანებს. ამიტომ, მცირე გამონაკლისების გარდა, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ 30

³⁹ *კანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 32.

⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 5 დეკემბრის Nას-772-1045-05 გადაწყვეტილება („სეიფი 79“).

⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 28 იანვრის Nას-1643-1540-2012 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის Nას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის Nას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება; ასევე იხ. *ცერვაძე*, წიგნი: *ძღერძვილი/ცერვაძე/როზაქიძე/სვანაძე/ცერვაძე/ჯანაშია*, სახელშეკრულებლსამართალ, 2014, გვ. 38.

⁴⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის Nას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

ვალდებულების დარღვევა და არა მისი შესრულება. ამ თვალსაზრისით გულისხმიერების ვალდებულება უნდა გავმიჯნოთ სხვა ვალდებულებებისგან, რომლებიც მიმართულია შესრულების უზრუნველყოფაზე და გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან ან უშუალოდ იწარმოება კეთილსინდისიერების პრინციპიდან („ვალდებულება უნდა შესრულდეს...კეთილსინდისიერად“, იხ. 361 II).

ბ.ა. გულისხმიერების ვალდებულებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის ურთიერთმიმართება

31 გულისხმიერების ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპიდან არის ნაწარმოები დაროგორც კეთილსინდისიერების პრინციპი, ასევე გულისხმიერების ვალდებულებაც ბრუნვის წეს-ჩვეულებებით ზუსტდება.⁴⁵ ეს პრინციპი ზოგადი, აბსტრაქტული სახით 8 III-ე მუხლშია ინკორპორირებული და მოქმედებს როგორც საყოველთაო, ფუძემდებლური პრინციპი სამოქალაქო სამართალში.⁴⁶ კეთილსინდისიერების პრინციპსა და გულისხმიერი ქცევის ვალდებულებებს შორის გენეტიკური კავშირის გათვალისწინებით სასამართლო პრაქტიკაში მოიძებნება ისეთი შემთხვევებიც, როცა კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების ვალდებულები სასამართლო გადაწყვეტილებებში პარალელურად, ერთმანეთის შევსების მიზნით გამოყენება.⁴⁷ ეს პარალელიზმი გასაგებია, რადგან ორივე ინსტიტუტი ერთი და იმავე სტანდარტს – ბრუნვის წეს-ჩვეულებას – ეფუძნება.⁴⁸ ამასთანავე, როგორც გულისხმიერი ქცევის, ასევე კეთილსინდისიერი შესრულების ვალდებულება, ბუნებრივი ვალდებულებებია. ისინი გამომდინარეობენ ვალდებულების ხასიათიდან და მათი არსებობა არ არის დამოკიდებული შეთანხმებაზე. პარალელიზმი ასევე შეიძლება იმ გარემოებითაც აიხსნას, რომ ვალდებულებითი სამართლის ზოგიერთ სპეციალურ ნორმაში კეთილსინდისიერების ცნებაში გულისხმიერების ვალდებულებაც არის მოაზრებული. მაგ. მუხ. 871-ის თანახმად „*ექსპედიტორმა კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებით უნდა გაგზავნოს ტვირთი...*“. ექსპედიტორის ეს ვალდებულება მოიცავს როგორც კეთილსინდისიერ შესრულებას, ასევე მეორე მხარის კანონით დაცული ინტერესებისადმი გულისხმიერ ქცევას.

32 მიუხედავად გენეტიკური კავშირისა, 316 II და 361 I-ე მუხლების სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპები სხვადასხვა ფუნქციებს ახორციელებენ. ეს მიჯნა ძირითადად მათი დაცვის ობიექტში ვლინდება. გულისხმიერების ვალდებულება მხარის ინტერესთა სიმრთელის (იგივე ინტეგრალური ინტერესი), ანუ *status quo*-ს დაცვაზეა მიმართული. ინტეგრალური ინტერესი გულისხმობს პირის ინტერესს, უცვლელად შეინარჩუნოს მისი ქონებრივი თუ არაქონებრივი სტატუსი, რომელიც კავშირში არ არის შესრულებასთან და არ განიცადოს მასზე ნეგატიური, მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედება. ამით გულისხმიერების ვალდებულება იცავს კრედიტორს იმ ნეგატიური შედეგისგან, რომელიც არ დადგებოდა მას ხელშეკრულება

⁴⁵ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 68.

⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის №ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

⁴⁷ სამოქ. საქმეთა კრებული 2001/1, სუსგ №33/855, გვ. 918; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

⁴⁸ სამოქ. საქმეთა კრებული 2001/1, სუსგ №33/855, გვ. 918.

საერთოდ რომ არ დაედო. კეთილსინდისიერი შესრულების ვალდებულება კი პირიქით, არა არსებული სტატუსის შენარჩუნებაზე, არამედ იმ სამომავლო ინტერესის უზრუნველყოფაზეა მიმართული, რომელიც ხელშეკრულების სათანადოდ შესრულებაში მდგომარეობს (*status ad quem*). ამ თვალსაზრისით იგი არის შესრულების დამატებითი ვალდებულება და 316 I-ე მუხლის მოქმედების სფეროში ექცევა. მაგ. თუ გამყიდველმა იცის, რომ საქონლის უსაფრთხოებისათვის აუცილებელია შესაბამისი შეფუთვა, მან უნდა უზრუნველყოს ეს შეფუთვა, მიუხედავად იმისა, შეთანხმდნენ თუ არა ამაზე მხარეები. ეს გამყიდველის სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპიდან გამომდინარეობს და შესრულების უზრუნველყოფაზეა მიმართული. თუ ეს ვალდებულება დაირღვევა, მოვალეს დაეკისრება პასუხისმგებლობა შესრულების ვალდებულების დარღვევისათვის. ხოლო, თუ ამ ვალდებულების დარღვევა ასევე იწვევს მყიდველის ქონების დაზიანებას და ხელყოფს მის ინტერესს, რომელიც ამ ხელშეკრულების შესრულებასთან უშუალო კავშირში არ არის (მაგ. არასათანადოდ შეფუთული საქონელი დაღპება და გააფუჭებს მასთან ერთად დასაწყობებულ სხვა საქონელს), მაშინ სახეზე იქნება ასევე გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა.

ბ.გ. გულისხმიერების ვალდებულებათა გამიჯვნა შესრულების ვალდებულებებისაგან

კონკრეტული ვალდებულება, რომელიც გულისხმიერი ქცევის მოთხოვნიდან გამომდინარეობს, შესაძლოა ხელშეკრულებით პირდაპირ იქნეს გათვალისწინებული შესრულების დამატებითი ვალდებულების სახით. მსგავს ვითარებაში აუცილებელია დიფერენცირება, რათა სწორად მოხდეს შესაბამისი მოთხოვნის საფუძვლის ლოკალიზება. დიფერენციაციის ამოსავალი წერტილი აქაც ის ინტერესია, რომლის დაცვაზეც ესა თუ ის ვალდებულებაა მიმართული. ეს ინტერესი პირობითად შეიძლება დაიყოს პოზიტიურ და ნეგატიურ (ინტეგრალურ) ინტერესად (ასევე იხ. ზემოთ ბ.ა.). პოზიტიური ინტერესი გულისხმობს იმ შედეგს, რომელიც ხელშეკრულებამ კრედიტორს უნდა მოუტანოს. შესაბამისად, თუ ხელშეკრულება არ სრულდება ან არაჯეროვნად/არაკეთილსინდისიერად სრულდება, ზარალდება კრედიტორის პოზიტიური ინტერესი. ნეგატიური ინტერესი, პირიქით, გულისხმობს იმ შედეგს, რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ხელშეკრულება. შედეგად, თუ ირღვევა ნეგატიური ინტერესი, ზიანდება ის სიკეთე, რომელიც არ დაზიანდებოდა, რომ არა ხელშეკრულება. მაგ. თუ მოვალე გაახმაურებს კრედიტორთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც მან მიიღო ხელშეკრულების ფარგლებში, კრედიტორის ზიანი იქნება ნეგატიური ინტერესის დარღვევის შედეგი, რადგან ეს შედეგი არ დადგებოდა, რომ არა ხელშეკრულება. 33

გულისხმიერების და შესრულების ძირითად ვალდებულებათა გამიჯვნა განსაკუთრებულ სირთულეებს არ უკავშირდება, რადგან ამ უკანასკნელს ცალსახად გამოკვეთილ ადგილი უკავია სახელშეკრულებო ვალდებულებათა პროგრამაში. შესრულების ძირითადი ვალდებულება პოზიტიური ინტერესის უზრუნველყოფაზე მიმართულ ვალდებულებაა, რომელიც მხარეთა მიერ ხელშეკრულებით თანხმდება. გულისხმიერების ვალდებულება კი წარმოიშობა შეთანხმებისგან დამოუკიდებლად და ამასთანავე იცავს მხოლოდ ნეგატიურ ინტერესს. მაგ. დაცვის ხელშეკრულებით პირადი დაცვა ვალდებულია 34

დაიცვას კლიენტის ჯამრთელობა და ქონების ხელშეუხებლობა. შესაბამისად დაცვის ვალდებულების უგულვებელყოფა *in casu* ძირითადი ვალდებულების დარღვევას გამოიწვევს და შესაბამის მოთხოვნის საფუძველს დაექვემდებარება.

35 შედარებით რთულია გულისხმიერების ვალდებულებათა გამიჯვნა იმ შესრულების დამატებით ვალდებულებათაგან, რომელიც არ შეთანხმებულა, მაგრამ კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპიდან *ex lege* გამომდინარეობს.⁴⁹ ეს ვალდებულებები შინაარსობრივად ხშირად იდენტურია. მაგ. საქონლის მოხმარების ინსტრუქცია ორმაგი ფუნქციის მატარებელია. იგი ერთის მხრივ მყიდველის ნეგატიური ინტერესების დაცვას ემსახურება, მაგრამ ამავედროულად შესრულების დამატებით ვალდებულებასაც წარმოადგენს და მიმართულია შესრულების შედეგის უზრუნველყოფაზე (საქონლის მოხმარების გამარტივებაზე). შესაბამისად აქაც ჩნდება კითხვა, თუ რომელ ვალდებულებას არღვევს მოვალე, თუ იგი კრედიტორს მსგავს ინსტრუქციას არ მიაწვდის. პასუხი ამ კითხვაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ინტერესი ირღვევა კონკრეტულ შემთხვევაში. თუ ინსტრუქციის მიუწოდებლობის გამო მყიდველი ვერ სარგებლობს შეძენილი საქონლით, მას ერღვევა შესრულების მიმართ არსებული პოზიტიური ინტერესი. ამით სახეზეა შესრულების დამატებითი ვალდებულების დარღვევა, რაც კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპს ეწინააღმდეგება (361 II). თავის მხრივ, თუ ინსტრუქციის არარსებობის გამო, მყიდველი არასწორად მოახდენს საგნის ექსპლოატაციას, რის შედეგადაც მის ჯანმრთელობას ან ქონებას (ანუ ნეგატიურ ინტერესს) ზიანი მიადგება, სახეზე იქნება გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა.⁵⁰

გ. გულისხმიერების ვალდებულებათა ტიპოლოგია

36 გულისხმიერების ვალდებულება შეიძლება პირობითად დაიყოს ინფორმაციის გაცემის, კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესების დაცვის და სახელშეკრულებო ლოიალურობის ვალდებულებად.

გ.ა. ინფორმაციის გაცემის ვალდებულება

იხ. 318-ე მუხლის კომენტ.

გ.ბ. კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესების დაცვის ვალდებულება

37 კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესების დაცვის ვალდებულების მიზანია, ყოველმა მხარემ უზრუნველყოს მეორე მხარის იმ ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების დაცვა, რომელზეც მას ხელი მიუწვდება და რომელთა დაცვაც შესრულების ვალდებულების მიღმაა: მაგ. #1 - „ა“-მ მანქანა სამრეცხაოში მიიყვანა. მას შემდეგ რაც მანქანა გაირეცხა, სამრეცხაოს ერთ-ერთი თანამშრომლის უყურადღებობის გამო დაზიანდა მანქანის მარცხენა კარი. მიუხედავად იმისა, რომ მრეცხავებმა მათი ვალდებულება ჯეროვნად შეასრულეს – გარეცხეს მანქანა – მათ არ გამოიჩინეს

⁴⁹ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 69.

⁵⁰ Madaus, Die Abgrenzung der leistungsbezogenen von den nicht leistungsbezogenen Nebenpflichten im neuen Schuldrecht, Jura 2004, S. 289, 291.

გულისხმიერება მათთვის მიბარებული ქონების მიმართ და დააზიანეს იგი; მაგ. #2 - იმის გამო, რომ კომპანიას სათანადოდ არ ჰქონდა დაცული კლიენტი კომპანიების კომერციული ინფორმაცია, აღნიშნული ინფორმაცია ხელში ჩაუვარდათ მესამე პირებს, რომელთაც ბოროტად გამოიყენეს იგი.

განხილულ კომპონენტში გულისხმიერების ვალდებულება როგორც წესი კონკურირებს დელიქტურ მოთხოვნებთან და რომ არა სკ. 316 II, უმეტეს შემთხვევაში დაზარალებული მხარის ინტერესთა დაცვა შესაძლებელი იქნებოდა დელიქტების მარეგულირებელი ნორმებით. მიუხედავად ამისა, მეორე მხარის განსაკუთრებული ინტერესების დაცვის ვალდებულების ინტეგრირება სახელშეკრულებო ვალდებულებათა კონტექსტში მნიშვნელოვან პრაქტიკულ შედეგებს უკავშირდება. გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს გზა ეხსნება მთელ რიგ სახელშეკრულებო მექანიზმებისაკენ, რომელიც მისთვის მიწვდომადი არ იქნებოდა დელიქტური გზით. მაგ. სკ. 394 I 2 ბრალეულობის მტკიცების ტვირთს აბრუნებს დაზარალებული მხარის სასარგებლოდ („ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.“), რაც სკ. 992-ის ფარგლებში არ ხდება. გარდა ამისა, გულისხმიერების ვალდებულების უხეშად ან მრავალჯერადად დარღვევის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს უფლება ეძლევა გავიდეს ხელშეკრულებიდან და სკ. 407, 394-ის საფუძველზე მოითხოვოს შესაბამისი ზიანის ანაზღაურება (იხ. 405 III ბ). ეს უფლება დაზარალებულ მხარეს არ მიეცემოდა, რომ არა გულისხმიერების ვალდებულებათა ინტეგრირება სახელშეკრულებო ვალდებულებათა კონტექსტში.

გ.გ. ლოიალურობის ვალდებულება (Loyalitätspflichten, Mitwirkungspflichten)

ლოიალურობის დათქმა თითოეულ მხარეს ავალდებულებს თავიდან აიცილონ ან არ დაუშვან გარემოებები, რომელთაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან ხელშეკრულების დადებას, მის ნამდვილობას, ან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ხელშეკრულებით დადგენილი მიზნის მიღწევა.⁵¹ სახელშეკრულებო ლოიალურობის ვალდებულების დარღვევად შეიძლება დაკვალიფიცირდეს ხელშეკრულებიდან გასვლა ან ხელშეკრულების შეწყვეტა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, თუნდაც მხარეს ხელშეკრულებით ამის უფლება ჰქონდეს, როდესაც მისთვის ცნობილია მისი კონტრაპენტის განსაკუთრებული ინტერესი ხელშეკრულების მიმართ. მაგ. საკრედიტო დაწესებულებას შესაძლოა უარი ეთქვას კრედიტის ხელშეკრულების შეწყვეტაზე (თუნდაც მას ხელშეკრულებით ამის უფლება ჰქონდეს), თუ ეს არსებითად დაამძიმებს მოვალის ფინანსურ მდგომარეობას (მაგ. გამოიწვევს მის გაკოტრებას), მაშინ როცა საკრედიტო დაწესებულებას ხელშეკრულების შეწყვეტის დასაბუთებული ინტერესი არ გააჩნია.⁵² მაგ. მოვალე ვალდებულია დროულად მიაწოდოს კრედიტორს ის დოკუმენტაცია, რაც ამ უკანასკნელს ესაჭიროება ამა თუ იმ ნებართვის ასაღებად ან მოქმედების განსახორციელებლად (მაგ. საბაჟო დოკუმენტაცია). მაგ. საბანკო

⁵¹ მაგ. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის №ას-1388-1224-10 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება); *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 65.

⁵² MüKo/Bachmann, BGB, 7. Aufl., 2016, §241, Rn. 90.

დაწესებულება ვალდებულია მიაწოდოს მოვალეს ინფორმაცია დავალიანების თაობაზე და ასევე გასცეს ინფორმაცია სხვა ბანკზე, რომ კრედიტის სრულად რეფინანსირების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ ქონებას იპოთეკა მოეხსნება.⁵³

40 სახელშეკრულებო ლოიალურობის ვალდებულება ცალკეულ შემთხვევებში არა გულისხმობს ვალდებულებიდან, არამედ კეთილსინდისიერი შესრულების პირობიდან გამომდინარეობს (სკ. 361 II). ეს ის შემთხვევებია, როცა სახელშეკრულებო ლოიალურობა მიმართულია შესრულების უზრუნველყოფაზე. მაგ. მოვალე ვალდებულია საქონელი შეფუთოს იმდაგვარად, რომ ეს საქონელი არ დაზიანდეს ან გადაგვარდეს არამხოლოდ მყიდველზე რისკის გადასვლამდე, არამედ რისკის გადასვლის შემდეგაც.⁵⁴

41 სახელშეკრულებო ლოიალურობის ვალდებულება სრულდება იქ, სადაც ბრუნვის წესჩვეულებათა გათვალისწინებით თანამშრომლობის გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს, ანუ საკითხი ერთმნიშვნელოვნად მეორე მხარის რისკის სფეროში ხვდება.⁵⁵

დ. გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები

42 ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ვალდებულების დარღვევა, გულისხმიერების ვალდებულების დარღვევაც ანიჭებს კრედიტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მიუხედავად დარღვევის ინტენსიურობისა.⁵⁶ ამგვარად, თუ სახეზეა კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, გულისხმიერების ვალდებულებით გამოწვეული ზიანი უნდა ანაზღაურდეს. მოთხოვნის საფუძველია 394 I. დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას გულისხმიერების ვალდებულება შეიძლება გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი (405 III ბ).

43 რაც შეეხება გულისხმიერების ვალდებულების შესრულების მოთხოვნას, ეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გახდეს სასარჩელო მოთხოვნის საგანი. მაგ. თუ კრედიტორი თვლის, რომ მოვალის მიერ არჩეული შეფუთვის ფორმა ან გამოყენებული მასალა, თუმცა გამოსადეგია ხელშეკრულების საგნის შესანახად, მაგრამ საფრთხეს უქმნის კრედიტორის ქონებას ან ჯანმრთელობას, მას შეუძლია მოსთხოვოს მოვალეს სხვა შეფუთვის ან ფორმის გამოყენება. ასეთ შემთხვევაში მოვალე ვალდებულია, შეცვალოს შეფუთვა.

⁵³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

⁵⁴ LG Frankfurt NJW-RR 1986, 967.

⁵⁵ BGH NJW 1983, 998 f.

⁵⁶ შეად. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 35 და მომდევნო.